საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-607

13/07/2020

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შპს „არმადას“ პოლიეთილენის ფირების საწარმოს ექსპლუატაციის პროექტზე (ნარჩენების აღდგენა) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. თბილისში, შპს „არმადას“ პოლიეთილენის ფირების საწარმოს ექსპლუატაციის პროექტზე (ნარჩენების აღდგენა) სკოპინგის დასკვნა №63 (10.07.2020);
2. შპს „არმადა“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №63 (10.07.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „არმადას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „არმადას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი